

# მშობელი

№ 14

1917

შინაარსი: აღღვობა — ეშმაკი. ვაზდენი — შორიელი.  
ვედრება — კოლა. მილოცვები. პრისტავების მიწერა-მოწერა — გოგი. მიტინგი პროვინციაში — ძ. ქუთაისი — ხატა-  
ნა. ვარლამური — ე-ს. მოთქმა ჯაბურჭიბისა — შანთი. ხო-

ნადან — ი. გულგოთელი. მოხსენება. ვინც გამდიდრდა —  
ჩრჩილი.  
კარტატაშტები: თანამედროვე რიგი. ერთი მათგანი. მილოცვები.

## თანამედროვე რიგი





# კ ლ ღ გ ო მ ა

აღსდგა გმირი სიკვდილისა დამორგუნველი,  
და დაემზო მტარვალობის ტახტი ძველი.

აღსდგა, ვით ზღვა უფოთიანი, ხალხის რისხვა  
და ზორკილი თვითნებობის მყის დაიმსხვრა.

ეს აღდგომა არ ჩამოჰგავს ადრე ნახულს!  
არ ჩამოჰგავს გაზაფხულოც ძველ გაზაფხულს.  
დღეს აღდგომა ნათელია ვით შზის სხივი,  
გაზაფხული ბრწყინავს, როგორც ბროლის მძივი.

საპირადო დაიმარხა სევდა—დარდი,  
დღეს ჩვენს გულში სამია. ო ყვევის ვარდი!  
აღსდგა ხალხი, სიკვდილისა დამორგუნველი,  
და დაემზო ბოროტების ზღუდე ბნელი.

ეს აღდგომა სხვა აღდგომას არ ჰგავს, არა!  
ჰხარობს მიწა და ელვარებს ცის კამარა!  
აღსდგა მკვდრეთით დამარხული გმირთა რისხვა,  
და აპლელდა წითელ დროშით წითელი ზღვა.

ამ აღდგომას მე ადრე არ მოველოდი.  
ამირანის მკლავმა დასძრა მძიმე ლოდი.  
ლოდი მძიმე გმირთა საფლავს რომ ეყუდა  
აღსდგა ხალხი და დაემზო ძირს იუდა.

ხარბახანმა გუთანს ძმობა შემოჰფიცა!  
ჯარისკაცმა მუშას ძმური ხელი მისცა!  
აღსდგა ხალხი, აღსდგა მკვდრეთით ბაყბაყ-მღვეი,  
ეს აღდგომა პირველია, ჯერ უჩვევი.


რო უვეყურებ ამწვანებულ მინდორ მდებლოს,  
უკვე ვხედავ მკვდრეთით აღმდგარ საქართველოს!  
მის მონობის ბორკილები დაეღეწა,  
მხიარულობს და დაჰხარის მაღლით ზეცა.

არა, არა! აღდგომაა სულ სხვა სახის!  
იგი მკვდრეთით აღდგომაა ბედკრულ ხალხის.  
გაზაფხულოც არ გინახავს მსგავსი წინა:  
დღეს მერცხლები ჩრდილოეთით მოგვევლინა.

გაუმარჯოს მაშ აღდგომას პირველნახულს!  
გაუმარჯოს მაშ ამ დროშებს, ამ გაზაფხულს!  
გაუმარჯოს მერცხლებს შორით მოფრენილებს!  
გაუმარჯოს სახელოვან ხალხის შვილებს!

აღსდგა ხალხი სიკვდილისა დამორგუნველი  
და დაინგრა ბოროტების ზღუდე ბნელი,  
აღსდგენ გმირნი, დაცემულნი ძმობის ბიდათ,  
აღსდგა ძმობა და ერთობა ჳეშმარტათ!

# საადგომო მილოცვები



ეს თაიგული სამკაულების  
 კალო გაფხეკილ  
 თაგისა ძეღეების,  
 ეს ბორკილები და სახრჩობელა  
 ძველი მთავრობის  
 განძია ყველა...  
 ძღვეამოსილი იმითი იყო  
 აწ დანატყვევი  
 ბატონი ნიკო.  
 მისი კანონი, მართლმსაჯულება,  
 იყო ამათი  
 ბრმა ერთგულება.  
 ვინც მოითხოვდა წმინდა სამართალს,  
 სახრჩობელაზე  
 იწყებდა კანტალს.  
 თაგისუფლების ვინც იყო მცველი  
 მას ეძღოდა  
 ციმბირი ვრცელი.  
 ვინც პურის ითხოვდა, აძღვედნ ქვასა,  
 ვინაც სიხარულს,  
 მას ცრემლთა ზღვისა.  
 და ჰა, მიეწლო მას სასყიდელი,  
 ჩვენც შეეთავაზოთ  
 დროზე წითელი!

ტრფობის ზღვა არის გული ქალისა,  
 მათში პირველი  
 გახლავთ ალისა.  
 თუმც მეფე იყო გვირგინოსანი,  
 მაგრამ მას სძაგდა  
 კარის მგოსანი.  
 იგი შესტრფოდა „დაბალ წოდებას“,  
 (ღმერთი შეუნდობს  
 ამ შეცოდებას!)  
 და მაშინ ჰქონდა გულს მისას ლხინი,  
 როდესაც ახლო  
 ჰყვა რასპუტინი.  
 —  
 და მოციქულთა იმგვართა სწორი  
 ძღვეა-მოსილი  
 „მაშა“ გრიგორი,  
 იყო ის ბურჯი განსვენებისა,  
 სად დედოფალი  
 ყოფად ნებისა,  
 ჰგრძნობდა სიმშვიდეს და მყუდროებას  
 (ბოლო მოვიდა  
 აწ იმ დროებას!)  
 და რომ ვახართ გული ქალისა  
 ვუძღვენათ სურათი  
 მისი ცალისა.



# მ ა რ ლ ე ნ

ვიცი იკითხავთ, თუ რისთვის ზიკვარს მე ასე გაგივებით ძვირფასი ვარდენ ზურგიელიძე?\*) მოგახსენებთ.

პირველ ყოვლისა იმიტომ, რომ ამ პარტიული ციხე ცხელების დროს, ჩვენ ორივენი უპარტიონი ვართ.

შემდგომად ამისა ჩვენ ორივენი პატიოსანი და გულწრფელი მოღვაწეები ვართ. თითოეული ჩვენი სიტყვა გულის სიღრმიდან ამოდის და წმინდაა, როგორც კლდის ნაპრალიდან გადმოდენილი ანკარა წყარო.

მგონი კმარა რაცა ვთქვი იმად, რომ ჩემი მეგობარი, ვარდენ ზურგიელიძე, ასე გაგივებით მიყვარდეს. როცა მე ვარდენს დავინახე, სახე გამინათლდება, და ვატყობ, რომ ჩემი დანახვით იმის გულშიაც სიხარულის ჩირაღდანი აენთო. ვარდენი მარტო მე როდი მიყვარს! მას მთელი საზოგადოება იცნობს და ვინც იცნობს ყველას უყვარს. უყვართ ისე, როგორც მე, გულწრფელობისა და უპარტიობისათვის.

ვარდენი მოძრაიე კაცია. საღ უნდა წახვიდეთ მას არ გადაეყაროთ. ნაცნობ-მეგობრთა სიმრავლის გამო ქუდს ხელით ატარებს, მოხდასა და დახურვას ვერ ასწრობს.

აი ვარდენ ახალი კლუბის წინ, სისახლის ქუჩაზე სდგას. ის ვიღაც ნაციონალ დემოკრატს ეკამათება.

— მე თუ ვკითხავ, — ამბობს გაცხარებული ვარდენი: წმინდა ნაციონალ დემოკრატი ვარ, ნაციაცა მწამს და დემოკრატიაც. მომავალი უთუოდ ნაციონალ დემოკრატისა დარჩება...

და ამ სიტყვებში ბროლის სისპეტაკით მოსჩქეფს ვარდენის გულწრფელობა, მისი კეშმარიტი გატაცება ნაციონალურისა და დემოკრატიულის იდეალიზით.

— მე ყოველთვის ვამბობდი, რომ ქართველ ხალხს...

მაგრამ აი, მოულოდნელათ, ქუჩის მხარეს ვარდენი თვალს მოპკრავს მეორე მეგობარ ბავშვურის გულწრფელობით სწყვეტს მომადგენელ პარტიულ კამათს, ახალ მეგობართან ვადაღის. აი ლაღიძის ქაზხნის წინ ვარდენი ცხარეთემა ფედერალისტ გიგო ცხვირატეს, რომელსაც გასაოცარის შორს მჭევრეტველობით მოპკრა თუ ქუჩის მეორე მხრიდან.

— მე არსებითად სოციალისტი ვარ და დერაკის წინააღმდეგ ვანა შეიძლება კაცმა რის სთქვას? მაკვირვებს რისთვის უნდა იყოს ჩვენ რის...

ცხარობს ძვირფასი ვარდენი, ცხარობს გულწრფელად, გატაცებით. მას უნდა ვარდენი უთანხმობისა, რომელიც არსებობს მის მსოფლიო მხედველობასა და გიგო ცხვირატის რწმენის შორის, მაგრამ, ავე სოციალ დემოკრატი დავით შაძე საღდაც მიეშურება და თუ ვარდენ კამათს შესწყვეტს შეიძლება მეგობარი ხელიდან დაუშვტეს.

„ერთობის“ რედაქციის წინ ვარდენი ვატყობთ ეკამათება დავით შუშატეს და ყველ მოსწავლე ბავთა მისთავან გულწრფელ სიტყვათა ნაკლებად.

— მე გულით და სულით სოციალ-დემოკრატი ვარ. ვანა შეიძლება კაცი სოციალ დემოკრატი არ იყოს? რასაკვირველია მე განსაკუთრებულად არ დასცალდა აზრის დამთავრება საყვარელ მეგობარს, ვინაიდან „მშური ნუგეშის“ წინ არჩილ ბუჯაძე დინახა და მაყის მოსკენ გავიშტა.

— სწორეთ მეც ვგრე ვფიქრობ. საზოგადოება არავისთვის საიდუმლო არ არის და არც ვინამას, რომ მე რწმენით სოციალისტ რევოლუციონერი ვარ, ჩემის ღრმა რწმენით ეს ერთადერთი პარტიაა, რომელიც...

და აი ნიკო ფეთაძის შორით თველ მოპკრება მასხემ თავისკენ მიიზიდა ძვირფასი მეგობარ გული. ვარდენი სწრაფათ ვადავიდა ქუჩის მხარეს და ალტაცებით მიესალამა ნიკოს.

— მომილოცავს, მომილოცავს მეგობართა ვისუფლება. თითოეული ანარქისტის დანახვა გულში სიხარულის კოლში აღვივებს. ოსტება მე ნამდვილი ანარქისტი ვარ. ჩემი შეხედულებ...

\*) ეს სააკლ წოდება ფსევდონიმია.

ანარქისტების შესახებ არა ერთხელ გამომიტყვემს პრესაში და ახლაც...

ქუჩის მეორე მხარეზე გამოჩნდა ქ-ნი თამარ. ვარდენი მყის იქით გადავიდა და განაგრძო გზა.

მე იქვე შევუხვეი ჩემი სახლისკენ და არ ვიცი რით დამთავრდა, ძვირფასი მეგობრის დღე, ვიცი მხოლოდ ის, რომ ყოველი მისი დღე ასე იწყება და ასე თავდება მეგობრებთან ბაისში და პარტიულ სემინარიაში, მაგრამ ამხანაგი ვარდენი უპარტიო კაცია და მეც უმთავრესათ ამისთვის მიყვარს ის.

შორიელი.

## მ ე ლ რ ე ბ ა

სალამოს, დაწოლისას,  
ვიჩოქებ ხატის წინ, და  
მეუფეს ესმის ჩემი  
ლოცვა ვედრება წმინდა.

სიხმრათაც თვალწინ მიდგა  
ხატი ძლევა მოსილი  
და მხურვალეთ ელოცულობ,  
მუხლებზე დაწოქილი.

ღილით, როცა აედგები,  
კვალად ხელ აპყრობილი  
შემოქმედს ვევედრები,  
სევდით გულ გაპობილი.

ასე, დღიან-ღამიან,  
ლოცვა გამუდმებული,  
ღამის ბერი შევიქნე,  
ბერი დაყუდებული.

თქვენ როგორა გგონიათ  
რა მაქვს შესანდობარი?  
იქნებ ფიქრობთ გაფხარცვე  
ფულისთვის მეგობარი.

არა, არა! ამისთვის  
მე ღმერთს არ გავაშწარებ,  
ამისთვის დღე და ღამ  
ლოცვად არ გავატარებ.

იქნებ ფიქრობთ, ოქროა  
„უს“ ლოცვის მიზანი?  
სცდები, ჩემო კეთილო,  
ვერც აქ გამოიციანი.

იქნებ ფიქრობთ შეგებოვდე  
ჩინსა და ტემლაკებსა?..

ორივე წაუღია  
ქაჯსა და ეშმაკებსა.

მე არა მსურს ძვირფასი,  
უხვი დედულ-მამული,  
არც ვაქართა ქონება  
საღლაც გადამალული.

მე არც დიდი როლი მსურს,  
ხალხსა, თუ პარტიაში,  
არცა თავმჯდომარობა  
ურტიცხე კომისიაში.

მაშ რა არის მიზეზი  
ჩემი გულმოდგინების  
და ასე განუწყვეტლივ  
ლოცვათა აღვლინების?

აი გეტყვი:

— იმისთვის დავალ ეკლესიაში,  
რომ ჯერ ჩემი სახელი  
არ სჩანს ჯამუშოთ სიაში.

ვის გინდა იქ არ ვხედავ,  
რა როგ ცნობილ პირებსა,  
დღეს მზეზე გამოყენილ  
ჯოჯოხეთის გმირებსა?

აი ლიტერატორი,  
ზნეობას რო გვიწერდა,  
თურმე ჩუბათ, ფულისთვის,  
ქვეყნის ერთგულს იქერდა.

აი მქადაგებელი,  
აქ ღმერთს რო ედარება,  
თურმე იქ, ვერცხლისათვის  
იუღას ეხმარება.


და როცა მე ვკითხულობ  
იმათ სახელ გვარებსა  
ხალხის წყევლა-კრულვაში  
ასგზის განატარებსა.

ვშიშობ: მათში არ ვნახო  
ჩემი სახელ წოდება,  
აი, ვედრებისათვის  
ღრო რათ არ მენოგება.

კოლო.



# საადღეობო მილოცვები



განახლდა და აღსდგა რუსეთი ღიადი,  
დაემხო შავი დრო,  
დაემხო წყედიადი.  
ღაიმსხვრა დესპოტის ხელში რაც გასკედა  
და აღსდგა რუსეთი!  
შხედეთ რა გაჰბედა?!

მონობის უღელი აწ აღარ გასტანჯავს,  
ვიწ რა ლამაზია!  
იგი ძველს არა ჰგავს!  
ევროპის ჯალათი, ევროპის ჟანდარი  
მშვენება შეიქნა  
აწ მუზის სადარი.

ის აფრქვევს ქვეყანას სხივს სიყვარულისა,  
ფაქიზი ოცნების,  
ფაქიზი გულისა!  
იხარე, ვიდრემდის ეგ სახე გუთენა,  
ერთობის და ძმობის  
გწყალობდეს გენია.


გისურვებთ სიმტკიცეს და ენერჯიასა,  
გულში ცეცხლს ტრფობისას,  
ვარღსა და იასა.

რუსეთის ერებო, ბედმა ეს გვარჯუნა:  
მამათ ვინც მივიღეთ  
თავს ჩაგვიკაკუნა.  
ღელათ ვინც დაესახეთ, გვეღელნა ცელა  
მან ტანჯვა-წამებით  
ტრემლისგან დაგვცალა.

განა ვინ აგვიწერს იმ ბედის სიავს,  
როს გაგვანადგურეს,  
და გაგვანაივეს,  
როცა ჩვენს მოთქმაზე მათ გული ახარეს  
და გერათ მიჩნეულთ  
ღირსება აგვყარეს.

გაჰქრა ის შავი დრო, შწარ მოსაგონებო,  
ბორკილი დაიშხვრა,  
აღესღეჭით მონები!  
აღესღეჭით, რომ შევკრათ აწ ძმური კაქ  
შორს ჩვენგან წარსულის  
სიავე და ქირი.

# საადღგომო შილოცვები



ბნელეთის დამშობა დღეს ვის არ სმენია  
სასტიკი დაუდგა  
მის ბურჯებს დღენია.  
ჩინებს რო ელოდა ვარსკვლავთა პალატა  
დღეს ყველა ციხეში  
მწყობრ მოეკალიათა.

ვარსკვლავებს ელოდენ მკერდთ დასაკიდებათ,  
ორდენს და საჩუქარს  
განცხრომათ, დიდებათ,  
და აი მოუსწრო დღემ განკითხვისამა,  
გადადარჩა, ვინც იგი  
დროზედვე იწამა.

დიდაარს სიმძიმე იმათი ცოდვისა,  
დიდაარს სიმძიმე  
დამსხვრეულ ლოდისა.  
სხვის ცრემლზე ააგო მან თვისი განცხრომა,  
მას ლხენა, სიამე,  
სხვას— ტანჯვა და შრომა.

დაემხო იმათი დრო ნეტარებისა,  
მოლხენით ცხოვრების;  
ჩინ-ტემლაკ-ჯერებისა.  
თავისი წილ-ხვედრი მხამს ყველამ ზილოსა,  
ერთი როს ეცხოვნოს,  
სხვა წარიწყმილოსა.

თავისუფლებას თვისი ჰყავს მცველები,  
(ვის არა ეზოგვის  
ღარლილად ყველბი!)  
დღეს დეწლი იმათი ფას-დაუღებია...  
(წაუხდათ სულყველას  
მქუხარე ხმებია).


იქ, სადაც ტრიბუნა სახალხო დაიდგმის,  
იმათი ყოვინა  
და ჰეჰა გაისმის,  
ჰყოვიან, ჰგრგვინავენ და სკეჰენ ქებულათ,  
ხელ მოქანავენი  
თავ გადადებულათ.

არ ზოგვენ ხალხისთვის დროს მოსასწრაფებსა  
არ ზოგვენ ხელკუნთებს  
და ყორყის ძაფებსა.  
ამხელენ განვილითა დროთ საშინელტებს,  
(არ ერიდებიან  
სიტყვეთა გრძელტებს!)

და აი ვინც ნახოთ ხმა ჩანახრინწები,  
ისინი არიან  
ტრიბუნის ბიჰები.

ჩვენ იმათ ვერ შევძენთ სიმძიმეს ჯიბეთა,  
მათ ვუძღვნით თოხლო კვერცხს  
და მოპარავ კიბეთა.


# ერთი მათგანი



ეს სურათი გამოხატავს ეროვნებათა საკითხს ამიერ კავკასიაში. განსვენებული ცენსურა, როცა ამ სურათს იჭერდა, წმინდა პოლიტიკური მოსაზრებით შეღმძღვანელობდა. ამკარაა აქ გამოთქმული აზრი დამამცირებელი იყო ბუროკრატის უბიწოებისა და ამიტომაც თავის დროზე წითელი ჯვარი დასვა სურათს.



# ერთი მათგანი



ამა სურათზე გამოხატულია ეგრეთ წოდებული «ვაშლი განსუთქილებისა» («Яблоко раздора»). ეს ემშაკური საქანელა მთელი თავისი სიმძიმით დაურდნობილია მუშათა ზურგზე.

დღეს ამ თამაშს ბოლო მოეღო. შეწუხებული მუშა აღსდგა და საქანელა დაემსო.

# პრისტავების მიწერ-მოწერა

მომქმენი პირნი:

1. მკვლარი პრისტავი
2. ცოცხალი პრისტავი

**მკვლარი** (საიქოდან ცოცხალს): ძვირფასო, მუდამ ეამს და ყოველ ადგილას მოსაგონარო, ივან პეტროვიჩ! მოგიკითხამ დიდის სიყვარულით და უმდაბლეს სალამს უძღვნი თქვენს მეუღლეს პატივცემულ ანტანინა კანსტანტინოვნას. იმედია ჩემს ამბავს იკითხებთ და უნდა მოგახსენოთ, რომ ძალიან შევიწროებულ მდგომარეობაში ვარ. მართალია მაგ ქვეყანაში მე ბევრი ქრთამები ავწაპნე და კაი თანხაც წამოვიღე აქ, მაგრამ ხომ იცი ჩემი ამბავი. კარტი, ლენო, დუდუკი, ქალები—სულერთიან წაპივიდა ხელიდან. ახ, რა სათლელი მსუქანი დუმა იყო ეგ მეექვსე უჩასტკა! შე პირძალოო, ვინ იცის ვხლა შენ მილიონის ბატრონიც ვახდი! ეჰ, ძმაო, ღმერთმა მოგცეს, ოღონდ მე ნუ დამივიწყებ და ამ გაქირების დროს ხელი გამომიწოდე. წარმოიდგინე ადღგომა თენდება და მე კი ერთი კვერცხიც არა მაქვს, რომ შევლებო და პრაზნიკს მიეგებო! იწამე ღმერთი, ივან პეტროვიჩ, გამომიგზავნე რიზე და ამ გაქირებას გადამარჩინე. მგზავრებს ბევრს იშოვი აქეთ წამომსვლელებს. შედი სისქნოი ადელენიაში და იქ ხომ იცი ყოველ დღე კვდება თითო ოროლა კაცი შპიკებისა და ჟანდარმების ცეშა-ტყეპით და იმათ გამოატანე. თუ არა და შენ ჩაახრჩე ვინმე ხარეშოტკაში. გროშები თუ რამე ექნება, შენ დაგორება და კაცის პასუხს ხომ არ აგებ, რა გენადვლება! ამნაირად მგზავრი გაგონდება და მეც მომიზადლიერებ. მხოლოდ არ უთხარა რომ მე პრისტავი ვარ, თორემ არ მომიტანენ.

აბა, ვანო, თუ ძმობა გწამს, გამიკითხე, შემობრალე, ცოტა რამე მომაწოდე, მე შენს ძმობას ვენაცვალე.

შვიერი და გაფხეკილი პირქვე ვგდივარ, მუდამ ესტორი, ნუ დამტოვებ საადღგომოთ გამისველე, ბიკო, პირი.

**ცოცხალი** (პასუხი სააქოდან მკვლარს): ცემო პეტრ ივანიჩ! რომ იტყვიან: „მკვლარი მკვლარს აეკიდა, სამარემდის მიმიტანეო“. სწორეთ ისეა შენი საქმე. აბა, სიმშლილი და უბედურება ჩემი ნახეთორემ შენ ბატონი ხარ ჩემთან. შენ მიანც მიწერი ხარ დამალული და არავინ გდენის და მე კი რომელ სოროში შევეყო თავი და რომელ ხელონში შეაძვრე აღარ ვიცი! ზეზუერათ გამთელეს და გამათახსირეს კაცი. დიდი და პატარა, ქალი და კაცი ყველა მე მაფურთხებს თვალში. ჩემი სახე პრისტავი აბასთუმანის ჩიხობტიანების პლევატელის მოგაგონებს.

აღარ არის ის პატივი: ინდოური, გოქ-ქათამი, გაჭქრა ყველა, დაიკარგა ის მსუქანი ძველი ქრთამი!

დაგვიმარცხდა მბრძანებელი, ნიკოლოზი პირი შხისა, ყველანი ძირს გადმოგვყარეს დაგვეფუჯა ქრთამის ქისა.

ავგაგლიჯეს და ავგაბლდნეს: კანტები და პაგონები, თოფი, ხმალი, რევოლვერი, პეტლიცები და შპორები!

დაგვეტყეს ვით მწარე პანტა და გვადინეს ცხვირში ძმარი, დაიჯერე, პეტრ ივანიჩ, არ გვეგონოს ეგ სიხმარი.

პრიკაშნიკებს უბატონოთ ხმა რომ გასცე ნუ გგონია, ვილაც მუშა გამურული მთელი ქვეყნის ბატონია!

პეტრ ივანიჩ, შევიწალე, დამეკარგა ქვეა-გონება, თავხარსა მცემს მე წარსული ფუფუნების მოგონება.

აღარც კვერცხი აღარც პასკა, ჩემ სახლში არ იბოვება, ძაღლით არავინ მაგდებს, ძმაო, სულ არავინ მეუბება.

მე რა მაქვს და შენ რა მოგცე  
მეც სიმშლით მძებრება სული,  
ვით ღამურა ფულურაში  
ისე ვზივარ დამალული!

ადრე ვისაც ქრთამი ვართვი,  
მივაყენე დღეი ცხელი,  
სწორეთ იგი ბატონია,  
ის არს ჩემი მზრძანებელი!

საღდათები მათ უჯერის,  
კაზაკები, ერთად ყველა,  
მათმა მზერამ, წითელ დროშამ  
სულ თვალეები დამიხნელა!

მაგრამ რას ვიქ, ძალა იობ,  
ეს დროება არის კიბე,  
ერთ დროს მსუქან-გაბერილი  
დაიფუკა ჩემი ჯიბე.

ამ ქვეყანის პირი არ მაქვს  
ძლივსლა ვფეთქავ სულთმოპრძვი  
დღეს აღდგომაც, ახალწელიც  
ჩემთვის არის, ძმავა შავი.

პოზიციაზე მგზავნიან  
ფუფუნებას მიჩეულსა,  
რა ვქნა ბეტკა, საღ წავიდე,  
მეკიდება ცეცხლი გულსა!

პოლიცემისტარს, აკალოშნიკს,  
გოროდოვებს და დეორნიკებს,  
ყველას ომში აგზავნიან  
ვეზდის ნაჩაღიკს და შპიკებს!

დრო იპოვეს, გამოგვქანეს  
და იძიეს ჩვენზე შური,  
შეგვარცხინეს, თავი მოგვჭერეს  
და წაგვისვენ ცხვირზე მური!

ცოლ შვილს რომ გამოვთხოვდით  
არ გაგვიშვეს ორი დღითა,  
ეპ... აწ კმარა, მალე გნახამ  
ჯერ-ჯერობით მშვიდობითა.

ზოგია.

## მიტინგი პროვინციაში

**1-ლი ორაბ.:** აღსრულდა! მძლავრი მტარვალი  
დაეცა, სული დალია!  
გათენდა, — ამომსავლეთით  
ამოდის მზე ცხრა-თვალაია...  
მშრომელი ხალხო! იკურთხოს  
შენი ღონე და ძალია,  
შენ დაგლიჯე ხორცი მტერს,  
შენ დაუღლე ძვალაია!  
მოქალაქენო სიწყნარე  
დავიცვათ-ჩვენი ვალაია...  
მტერს არა სძინავს, იცოდეთ  
მარჯვეთ გეჭიროთ თვალაია!

(გამაყრუებელი ტაშის ცემა და „ვაშას“ ძახილი)

**მე 2-ე ორაბ.:** გათენდა, ამომსავლეთით  
ამოდის მზე ცხრა თვალაია!  
აღსრულდა! მძლავრი მტარვალი  
დაეცა, სული დალია...  
მაგრამ სულ კი არ მომკვდარა,  
მარჯვეთ გეჭიროთ თვალაია!  
მოქალაქენო! იკურთხოს  
მშრომელი ხალხის ძალა!  
მან ერთმა დასცა მტარვალი  
და დაუღლე ძვალაია,  
გააღო ციხის კარები,  
დაფშენა ეს კაცთა ვალაია?  
დავიცვათ თავისუფლება,  
ძმებო, ეს ჩვენი ვალაია...

(ზომიერი ტაშის ცემა და „ვაშას“ ძახილი)

**მე 3-ე ორაბ.:** მოქალაქენო! გილოცავთ, —  
მტარვალმა სული დალია!  
მშრომელმა ხალხმა შეშუსრა  
და დაუღლე ძვალაია  
იკურთხოს როვოლუციის  
ღვე-გმირთა ღონე-ძალია!  
მათი წყალობით ამოდის  
ცხოველი მზე ცხრა თვალაია...  
კვლავ ტრიბუნაზედ ავდივართ,  
რას ხედავს ჩვენი თვალაია!

წ. 14  
ქართული  
ენები

გასწორდა გლეხი-თავიდი,

გასწორდა კაცი ქალია...

(ზოგიერთების სახეზე უქმაცოფილების სხივი გა-  
დაირბენს)

დარაჯათ ვექმნეთ ამ ყოფას

ეს ჩვენი წმინდა ვალია!

(მისუსტებული ტაშის ცემა და აქა იქ „ვაშას“  
ძახილი).

მე 4-ე ორატ.: ამხანაგებო! მშრომელ ხალხს  
მსურს დავულოცო ძალია.  
მან ჩასცა მტარვილის მახვილი  
და შეუშუსრა ძვლია!  
მან ერთმა ამოიყვანა  
მსურველე მზე ცხრა თვალია,  
მან გაუსწორა თავდასა  
გლეხი და კაცსა ქალია!  
„ვაშა მას!“, ესთქვით ჩვენ ხმა მაღლა  
ძმებო, ეს ჩვენი ვალია!  
(ორიოდე კაცის ტაში)

1-ლი მოძალაქე (ჩუმათ) ბოლო არ უჩანს...  
ვაი თქვენ კი გავიზნეთ ვნა!

მე 2-ე მოძალაქე. სწორეთ მომპებრდა  
ერთხელ თქმულის ასჯერ მოსმენა.

მე 3-ე მოძალაქე:—ახ, ნეტავ ერთი გაწვიმდებოდეს!  
(ტრიბუნაზე ადის მე 5-ე ორატორი)

მე 4-ე მოძალაქე:—ახლა რამესა მიანიტყოდეს...

მე 5-ე ორატ.: აღსრულდა! მძლავრი მტარვილი  
დაეცა, სული დალია!  
(ხალხი აირევ-დაირევა)  
მოქალაქენო! სიწყნარე  
დავიცვათ—ჩვენი ვალია...

(ხალხი ცდილობს დაწყნარდეს, მაგრამ ვერ ახერხებს).  
გათენდა, აღმოსავლეთით  
ამოდის მზე ცხრათვალია!  
(ჩოჩქოლი)

მე 5-ე მოქ. (ჩუმათ) სანამ მაქ აფორთხდებოდი,  
რათ არ დაგიღვა თვალია!

(ჩოჩქოლი თანდათან მატულობს. დაიწყება  
საშინელი ხველა. სრული უწყსრიგობაა. ტრიბუ-  
ნაზე ადის თავმჯდომარე; ის აცხადებს, რომ ჩაწე-  
რილია კიდავ ორმოკი ორატორი და წინადადებებს  
იძლევა,—რადგანაც ხალხს დღლილობა დაეტყო,—

ათი წუთით დაისვენონ; წინადადებს ერთმა  
იღებენ, წინამდღევ ორატორების  
პროტესტისა).

# ქ უ თ ა ი ს ი

(10 მარტი)

ყველგან ქუჩა გაბატონდა,  
შურს იძიებს ისევ ქუჩა,  
ძველი მოსპეს, აღარ დარჩა  
ბრძანებელნი ერთი მუქა!  
ციხეც ძველებს აღარ ინდობს,  
გულში იკრავს ცხლი ახლებს.  
რა თქმა უნდა ქუჩის ძალა  
ქუთაისისაც განაახლებს!  
უპრავაში კრებებიო,  
ისიც ჰმაძაცს სხვა ქალაქებს,  
დღეს ათია რიცხვით, მაგრამ  
ლიავრენტის ხელს არეინ ახლებს.  
მითქმა მოთქმა ისმის ხალხში:  
„ნათლი მამამ იფარაყო.“  
ზოგიც ამბობს: „ის წავიდა  
გულში-წინ გაიპარაყო.“  
დილის ათზე თუ თერთმეტზე  
მიადგება ხალხი საბჭოს  
და თხოვენ: ტყვე ვქნით იქმნას  
სიცოცხლეც, რომ დაიხარჯოს...  
ჰა, საათის თორმეტო,  
ხალხით ზღვაობს არე მარე,  
დაჭკრა წუთმა და უზანი  
ისე იქცა ვით სმარაქ!..  
—ეჰამოჰყავთ! — მოჰყავთ, მოჰყავთ.  
ეგ ჯალათი ხალხის მტერი!  
—მადლობა დემოტს, როგორცა  
სანს

მასხეც მიღვა,—განსჯის ჯერი“.  
—„ვინ, ვინ არის?—აქრო მოჰყავთ,  
ჩვენი პოლიცემისტერი“!  
—„მახარაძე“?—მახარაძე,  
ხალხისაგან დანაჭერი  
ხალხი ღელავს და მომოქრობს,  
ხალხს სწყურია გასწორება,

მაგრამ ყველას შეაჩერებს ერთი სიტყვის ვაგონება. როს ყოფილი დემუტრტი მოუწოდებს:—სიმშვიდეო! „მას კანონი დასჯის, თქვენ კი გთხოვთ მანამდის იცლიდეთ“.

„კანონითა დასჯება“?! კანონით, ხომ ის არ სჯიდა: შვა ქუჩაზე ტყვიით გულში, შვა ქუჩაზე ხმალით სჭრიდა: უმართებლოთ „ეშფოტი“, უმართებლოთ კატორგები, უმართებლოთ ყელზე თოკი, უმართებლოთ ბოროტებში გაიხსენეთ „პროცესები“ ყვირილისა; ერთი, ორი; გაიხსენეთ ის ადგილნი, სადაც მიწვდა მაგის ტორი და მაშინ სთქვით მეგობრებო რით დაესაჯოთ ეგ მტარვალი, რომ მით კმაყოფილი იყოს წარსული და მომავალი... მე თუ მკითხავთ აღარა მწამს არც კანონი, არც სასჯელი, რომელმაც ის ამოიზღოს, რასაც ჰქმნიდა მისი ხელი.

სატანა.

### ვარლამუკი

არ არს გულ საშუშებო, რომ ხალხის ნაბუშებო გამრავლდენ ჯაშუშებო საქმეთა ჩამუშებო, ეგ ბრიყნი, პირქუშებო აწ მახვილ ნაყუშებო (სდევნიან მათ მუშებო) მწარე ვით ტყის ნუშებო, ციხეში ნაკუმშებო არიან ნაქუჩებო, რომ დაპკრეს ჩაქუჩებო დაიწყეს ლაქუცებო.

გ—ს.

### მოთქმა ჯიგვირუკისა

ვაჰ, ბედშაო დროებავ! რით გამოგვეტერ ყელები? აღარც პოლიცია გვყავს, არც ეანდარში, მცველები.

აწ რალა გვეშველება, ვინ გვეყოლოს მფარავი, ვილასთან შეენახოთ ნიეთი მონაპარავი?

მეტათ მკაცრი ხალხია ახალი მილიცია...

ვაჰ, რა წყალში ჩავარდენ ქრთამიც ვერ მიმიცია!

ნაცნობობა არ იცის, არც პურ-ღვინო-ქაღები... ძმასაც კი არ დაინდობს, მე რით შევებრალეები?

აჰ, რა წყალში ჩავარდენ, ხალხი სულ გაღირია...

დიდს, პატარას, ჩვენ სამტროდ რით შეუკრავს პირია?!

თითები რო გრძელი გვაქვს განა ჩვენი ბრალია?

შიშლილით რო ამოვსწყდეთ ნუ თუ სამართალია.

ვაჰ, ბედშაო დროებავ რით გამოგვეტერ ყელები? აღარც პოლიცია გვყავს, არც ეანდარში, მცველები.

შანთი.

### მოხსენება

პავლე საყვარელიძისა.

27 მარტს, ახალი კლუბის დარბაზში დანიშნული იყო პ. საყვარელიძის მოხსენება: შესახებ ნაციონალური საქთხისა. მოხსენება დანიშნული იყო სოციალ დემოკრატებისათვის. კრებაზე გარეშეებიც გამოცხადდენ. მოითხოვეს გარეშეები კრებიდან წასულიყვენ. თავჯდომარემ განაცხადა:

— ჩვენ წინადადება მივეცით, არა სოციალ დემოკრატებმა დასტოვონ კრების დარბაზი და ვიცა სინდისი აქვს დასტოვებს კიდევაცო.

დარბაზში მართლა აღმოჩნდა რამოდენიმე სინდისიერი არა სოციალ დემოკრატი და კრების დარბაზიდან გავიდა.

ცხრა მეთოდი გარეშეებისა ესევ დარბაზში დარჩა.

ვისაცა ყურნი აქედენ სმენად..

ჩქარა გამოსათქმელი. იმევ მოხსენებაზე ბ-ნმა ეშმაკმა შეიმუშა ფრიად საგულისხმიერო ენ-ს გა-სატენი, ანუ ჩქარა გამოსათქმელი.

„კანტი-კუნტი უკულტურ-კანტონ-ექსტერი-ტორიულური ავტონომისტი, უკვე გამრავალ ქულტურ-კანტონ-ტერიტორიულურ-ავტონომის-ტებულა“.

## ს მ ნ ი დ ა ნ

ეშმაკი წინ მიდის,  
მზეგრავეთა სარდალი,  
რაზმები თან ახლავს, და ჩვენ კი რა?!  
ეჰ, მიმიძის, მაგრამ რათ,  
არა ესთქვა მართალი,  
რომ უპატრონოები აქ დაგვყარა!?  
თან უნდა ახსოვდეს  
დიდ მთავარს, უზუცესს,  
ქართლ-კახეთს მგზავრობა რომ არ კმარა;  
დროს შესაფერისათ  
კოტათი უკულდგეს—  
მით ხონში გამოიჯენა ჰქმნას პატარა!  
და საქმის გაცნობა  
მოითხოვს მხილებას,  
რომ მით გზას ეშმაკი არ გადაცდეს!  
ვეყრდნობი წინასწარ  
მუნ გამოცდილებას.  
ფაქტია, მითხარით: ვინ უარყოფს დღეს!  
და თუ ეს ასეა  
სწორია თაქტიკა,  
ვადღევ თავს უფლებას, დავიწყო მე:  
ვინ უარყო, ვინ დაგმო  
ცხოვრების პრაქტიკა?  
მუზე! შენ მოგისმობ, შენიჭირიმი!  
ან ხონის გარნიზონს  
დღეს ვინა ვანაგებს!  
ის, კუხალაშვილი, თუ ვინმე სხვა (?)

ცხოვრების ფარგლებში  
ვინა მღერს სხვა ჰანგებს?  
„ახალი ცხოვრების, ახალი გზა!“  
მაგრამ დღეს მის გვერდით  
მუნ აღასრულებელს  
ვის ეხედავთ? ვინ არის? ან რა სულგებს?  
— გორდაძეს, სამებას—  
მასიკიკოს—მათეს ხელს  
კუროიოს, არამზად და ორგულგებს!  
— და სხვანიც არიან  
ესდევთა სიაში—  
ჯერ ისევ დუმილით ვეპყრობი მას;  
ვინასავ, დროს შეილი  
დროთ უბის წიაღში  
ვატარებ, გულში ვკლავ ჩემს გულისთქმს!  
იკითხავ, ეშმაკო,  
ეს როგორ მოხდაო  
დღეს, როცა უფლებით ხალხი სდგას წინ;  
შავი დრო წავიდა,  
შავი დრო მოკვდაო,  
ხალხი თვით ბრძანებლობს, გარეთთუ შინ!  
ვაგლახ, რო აქ ხონში  
ხალხი სულ არა სჩანს;  
და ისევ ომობა დაწყება ქერს..  
სად არის, სად ეხედავთ  
სიცოცხლის ჩვენს საგანს!  
როდესაც ომობა დღეს ისე მღერს?!  
ომობა ბევრია,  
დღეს სახე ცვლილებით  
დაწყება ტორტმანით ბოზოქარ ზღვას..  
ერთად ხელ ჩაკიდულ  
„გზა გადაქრილებით“  
არღვევენ, ჩებავენ ცხოვრების გზას!  
და, ამით თავდება  
დაბის მოხსენება,—  
თუმც ბევრის სახელი კი დავფარე  
რათ გვენდა? ვეჭვირდება  
სახელის სხენება?!  
ისედაც ჯავრი გული: ხომ აყვარე!

ი. ვალდგოთელი.

სახუმარო ლექსებისა, მოთხრობებისა, იგავებისა და არაკების უზომოთ გაძვირებისა  
გამო, „ევშმაკის მათრახის“ აღმასრულებელ კომიტეტისა, კომისარიატისა და თანამშრო-  
მელთა საბჭოს დადგენილებით

# ს ა ს ტ ი კ ა თ ა ლ ი კ რ კ ა ლ ა

ამ საიდგომოთ კერძო პირთათვის

## ვისალოცი კუკლეტაჰის ცხობა.

ეთხოვთ საზოგადოება სიმშვილით შეხედეს ამ გადაწყვეტილებას.

ყოველ-კვირეული იუპორისტული გამოცემა

# ე ვ შ მ ა კ ი ს

მიიღება სექლისმოწერა 1917 წლისათვის

ტურნალის ფასი:	12 თვით	7 მ.	—
	6 თვით	4 მ.	—
	3 თვით	2 მ.	—
	1 თვით	—	70 კ.

ევშმაკის მათრახში დიბეკლება მხოლოდ იუმორის-  
ტული შინაარსის წერილები, ლექსები, მოთხრობები,  
ზღაპრები, არაკები, შარადები, გამოცანები,  
ნაკვესებიდა სხვა.


შურნალის ხამხამდო და სალითარბაზრო მხარეს მანაგავს ე ვ შ მ ა კ ი,  
სოლო გამოცემის ხამხამს კანტორა „ვ ა ნ ა თ ლ ე მ ა“

რედაქცია სთხოვს როგორც თანამშრომლებს, ისე ხელის მომწერლებს რომ მისაღები და  
ლი ამ აღრესზე: გამოიგზავნონ Тифлиси, С. Р. Таварткиладзе, Ольгинская, 6  
поч. ящ. № 96.





## საადღვომო მილოცვები



ამიერ-კავკასი ტურფა და ვრცელია  
 მას ხალხი ასხია  
 მრავალი, კრელია.  
 ქართველი, სომეხი, რუსი და თათარი,  
 სულყველა აქ ცხოვრობს,  
 სულყველა აქ არი.

ყოფილი მთავრობა ამ ნიადგზედა,  
 უყსა და ნოყიერს,  
 სამკალად კარგზედა,  
 ხელუხედა სთესავდა შურსა და მტრობასა  
 სამარეს უთხრიდა  
 მათ მეგობრობასა.

იქ, სადაც ერთობის ტაძარი შეენოდა,  
 დღეს ტახტი დალატსა  
 და მტრობას შეენოდა.

მაგრამ აწ ჯალათმა ხომ სული დალია  
 იმისი დამზობაც  
 ერთობის ბრაილია!

და აი დრო ითხოვს კვლავ შეთანხმებისა,  
 არ აპყვეთ მოძმენო  
 დალატის მცნებასა.

ერთობა ტახტია სიმტკიცით ქებული,  
 მას უნდა შესტროდეს  
 დღეს ერთა კრებული.

ექს მინისტრები ციხეებს ზეგრაენ  
 პურის ცომს ჰგორგლიან,  
 პურის ცომს ზელავენ.  
 რწყილებს და ბალინჯოს გბრქვიან მ  
 იქ, სადაც იმათგან  
 ათასი ეწამა.

ბირველი აღდგომა იგემეს ასეთი  
 მოიშკეს სიუხვით  
 წარსულში ნასეთი\*)  
 მიეწყო მათ მათი ხალხ ნამსახურები  
 და ავა დაუშვეს  
 ცხვირნი და ყურები.

სამსჯავრო ხალხისა სიქველით დილია,  
 თორემ ვინ მათგანი  
 არ დასაკილია?

ვის არ სდევს ათასთა წამებულთა პირღლ  
 ათასი ბედშვი  
 და სახელ ახლილია?

ციხეებს აგებდენ სახალხო ქონებით,  
 აამსეს ქვეყანა  
 ბნელეთის მონებით

და ავა ციხეში თვით მოიკალათეს,  
 ჩვენც იგი მიუძღვნათ  
 დღეს ხალხის ჯალათებს.

\*) სიტყვა „ნასეთი“ რითმის კეთილმზერების  
 არის ნახვარი. ნამდვილათ უნდა იყოს სიტყვა „ნასეთი“.